წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 23 მარტი 1916 წ. № 66

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიილება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი შრიფტით პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქ. 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

## საარტისტო საზოგადოების დარბაზი

**კვირას, 27 მარტს, გაიმართება პირველად თბილისში**

## დიდი საჯარო ქართული სიტყვა-მუსიკობა კ. ფოცხვერაშვილისა

**სიტყვის თემა:** „ქართული ხალხური სიმღერა-გალობა და მისი ჰარმონია—კონტრაპუნკტი“.
**სამუსიკო განყოფილებაში** საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ახალი ქართული სიმღერა-ჰიმნ-საგალობელნი.
გარჩეული იქნება თემატიურად და შესრულდება როიალზე პირველი ქართული სიმფონიური პოემა

**„თქმულება ამირანზე“ კ. ფოცხვერაშვილისა.**

თვითონ ფოცხვერაშვილი საილუსტრაციო ნიმუშთა შორის შეასრულებს სიმღერით და დაკვრით თორმეტ სხვა და სხვა ერთა კილოებს; იტყვის ქართულ ხმებს: **„ჩანგურულს“, „მესტვირულს“, „ლილეს“, „ვეფხის ტყაოსნის შაირს“** და წაიკითხავს (გალობით) ქართულ სახარებას.
ბილეთები 5 მანეთიდგან ათ შაურამდე ამთავითვე იყიდება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე. აფიშები არ გამოვა.**

---

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

---

## ახალი კლუბი

**პარასკევს 25 მარტს** 12 საათზე სიტყვაკაზმულ საზოგად. საბჭოს თაოსნობით **გაიმართება დილა**

**სანდრო შანშიაშვილი** წაიკითხავს თავის ახალ ნაწარმოებს

## „ბედრო ზმანია“-ს

**დასურათებულს მხატვარ ვალ. სიდამონიძე ერისთავის მიერ.**
სურათებს თვით ავტორი ეკრანზე (ბუნდოვან სურათებად) მსმენელთ უჩვენებს.
ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.
**წევრნი ქართულ სიტყვა კაზმულ საზოგადოებისა დილაზე შესასვლელ ფასს არ იხდიან. დილის გამგე—ქართ.-სიტყვა კაზმული საზოგადოების საბჭო.**

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(**მიხაილოვის პროსპექტი № 129**)

**ოთხშაბათს, 23 მარტს**

## სიმებიანი ორკესტრი

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**
სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

**ხუთშაბათს, 24 მარტს**

## კინემატოგრაფი

---

**საგალანტერიო მაღაზია**

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

---

**საუკეთესო კახური**

## ღვინის საწყობი

**ადამ ზურაბის ძის**

## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

---

**ქ. ბაქოში**

## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**
**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**
(112—წ.)

---




---

## განცხადება

იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 1916 წ. 24 თებერვალს დაიდო **ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტსა და ინჟენერ ივანე სერგეის ძე პონდოევს შორის**, მისი საწყობიდან, რომელიც მოთავსებულია თბილისში ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164, იძლევიან თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას პირობის წერილში განსაზღვრულის ნიხრით.
ყოველგვარი ცნობებისა და მასალის მისაღებად უნდა მიჰმართონ სამხ. სამრ. კომიტეტის სამექანიკო განყოფილების კანტორას, ელისაბედის ქუჩა № 184
(10-120-10)

---

## ვაგზლის სამკურნალოში

(**შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით**)

## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—8)

---

## სასტუმრო „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.**
**უაღრესი სისუფთავე. ელექტრონის განათება**
**ქალაქის შუაგულში, გორონცოვის ძეგლის მახლობლად**
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.
**თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.**

## სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

**თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.**

---

## შეშის საწყობი

## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

---

## განცხადება

ვინც **შემოდგომის ღვინოს** ეხლავე **დაიკვეთოს, საპანე დაეთმობა ოც თუმნად, ვედრა ოთხ მანეთად.**
მსურველთ შეუძლიანთ ღვინო თავის ხელით დააყენოს **სოფელ კარდენახში.**
მიჰმართეთ: ანტონოვის ქუჩა № 39 საკუთ. სახლში **გიორგი ფარხალოვთან.**

---

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

---

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

## ექიმი მ. გ. ვეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.
20—67—12

---

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი, 21 მარტი. დასავლეთი ასპარეზი.** ოფიციალი. საათნახევრის განმავლობაში გერმანელებმა ქარიშხალისებური ცეცხლი გააჩინეს მძიმე და მსუბუქი არტილერიიდან. შემდეგ იერიშით წამოვიდნენ იქსკიულის წინა სიმაგრეებზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ბარანოვიჩის ჩრდილო რაიონში გერმანელები ასაფეთქებელი ტყვიებით ესვროდნენ. გენერალ ევერგის ზოგიერთ ჯარის წინაალმდეგ გერმანელები ენერგიულად მოქმედობდნენ. ლიახოვიჩის რაიონში 20 მარტს დილით გერმანელები გადავიდნენ მდ. შარზე და ისე დაეცნენ რუსთა სადარაჯოებს, მაგრამ მალე მოგერებულ იქმნენ. პოლესიეს ჩრდილოეთით და სამხრეთით გერმანელთა მფრინავნი მარჯვედ მოქმედებდნენ. ყინულმა დნობა დაიწყო.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის სანაპიროებზე ასამდე ასკერი წამოიყვანეს ტყვედ. მთელი როტა ტყვედ ჩაუვარდათ რუსებს. მუშის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსებმა გაჰფანტეს ოსმალთა ცხენოსანი რაზმი.

—

**პარიზი, 20 მარტი.** საღამოს ოფიციალი ცნობა. სომმოდან—უაზამდე ჩვენმა არტილერიამ ნამეტანი სიმხნევე გამოიჩინა პავილიერის, ფუკსკურის და ლისინის რაიონებში, სადაც გერმანელთა თხრილები დანგრეულ იქმნა. მდინარე მაასის დასავლეთით გერმანელებმა რამდენიმე მედგარი იერიში მოიტანეს ავოკურის ტყის სიმაგრეებზე,—ყველა იერიში მოგერებულ იქმნა ტყვიის მტყორცნელების ცეცხლით. მდინარე მაასის აღმოსავლეთით ბრძოლა აღსანიშნავის სიმკაცრით სწარმოებდა დუომონ-ვოს რაიონებში. გერმანელებმა—მძიმე ზარბაზანთა საშინელი ცეცხლის შემდეგ—ზედიზედ ოთხი იერიში მოიტანეს ფორტების დუომონის და ვოს შუა მდებარე ჩვენს პოზიციებზე. ყოველი იერიში თითო დივიზიაზე მეტს მოჰქონდა. ფორტ დუომონის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელები ლაკაიეტის ტყეში შეიჭრნენ, მაგრამ ჩვენმა კონტრიერიშებმა იგინი მალე ტყის ჩრდილო ნაწილამდის უკუ ჰყარა. ფორტ ვოს სამხრეთით ჩვენი ბრძოლის ხაზი გადის იმავ სოფლის ახლოს, რომლის უკანასკნელად დანგრეული სახლები—ჩვენ უკვე დავცალეთ.—ვევრში განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ლეპრეტრის ტყეში საგანგებო ზარბაზნის ტყვიებით ჩამოვაგდეთ მტრის ჰაეროპლანი, რომელიც ისევ მტრის თხრილებს შუა ჩამოვარდა. ვოგეზებში ჩვენმა ზარბაზნების ცეცხლმა მტრის ყუმბარების საწყობი ააფეთქა—რეიხაკერკოფის აღმოსავლეთით—დასავლეთით მიუნსტერისა. 19 და 20 მარტს ღამით ჩვენმა მფრინავებმა 28 ყუმბარა ჩამოაგდეს სადგურ ეტტენზე. იმავ ღამეს ჩვენმა სამმა ჰაეროპლანმა ჩამოაგდო ყუმბარა, რომელმაც სოფელ აზამში და ბრიელ-სიურმეზში ცეცხლი გააჩინა. 20 მარტის განმავლობაში—ვერდენის ასპარეზზე—მტრის სამი ჰეროფლანი ჩამოვაგდეთ. ორი სხვა ჰაეროპლანი იძულებული გახდა იმავ რაიონში ჩამოშვებულიყო. უკანასკნე-

ლად ჩვენმა ჰიდროპლანებმა ჩამოაგდო ცეცხლის ალში გახვეული მტრის აეროპლანი დახვდა.

**პარიჟი, 21 მარტი.** დღეს, ღამე „ცეპპელინმა“ 8 ყუმბარა ჩამოაგდო დუნკერკის მიდამოებში. ორი მოქალაქე მოკლა და ოთხიც დაჭრა. მდ. მაასის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება სოფ. ოკურის და ქ. ენიან, ქვეითთა ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. მაასიდან დასავლეთით დუომონ-ვოს მიდამოებში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ იყო, ჩვენ ტყვიის ღობე რაც წინ წავიწიეთ. ჩვენი ბრძოლის ხაზი მარჯვენა ვოევრის მიდამოებში, მოწინააღმდეგე ... 3 ვერსის მანძილზე გაიარა ბრძოლით. ჩვენმა ჯარმა მოწინავე ხაზებიდან და თოფის სროლით დიდი ზიანი მიაყენა მტერს. ჩვენმა ზარბაზნებმა ცეცხლი გაუხსნეს მტრის მოწინავე ხაზებს და დაანგრიეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზზე**

ავსტრიელ-გერმანელები რუსეთის ასპარეზზე დიდ მზადებაში არიან. „რუს. ინვალიდი“ სწერს: გერმანელები აღმოსავლეთ ასპარეზზე ფრიად აქტიურობენ, მძიმე არტილერიას და ჯარს აზიადებენ. მათი ფლოტიც ამოძრავდა. ჯავშნოსანი გემები ყველა რიგისა ლიბავასთან თავს იყრიან, როგორც ეტყობა გერმანელებს განზრახვა აქვთ რიგასთან ხაზი გაარღვიონ და რიგა აიღონ. გერმანელ-ოსტრიელები სასტიკი ბრძოლისთვის ემზადებიან და ხაზებს აღმოსავლეთ ამაგრებენ.

**კრუპპის ქარხანა**

„Independence Roumaine“ იტყობინება: კრუპპის ქარხანაში დიდი მუშაობაა და ახალ-ახალ იარაღს ამზადებენ. დღეს ქარხანა ამზადებს რევოლვერის მოყვანილობის იარაღს, რომელსაც 35 მილიმეტრი აქვს, ამ იარაღის წყალობით ერთ წუთში რამდენიმე ყუმბარის გასროლა შეიძლება, ისვრის შორს მანძილზე. 1 მეტრი და 400 სანტიმეტრი სიგძე აქვს და ორ კაცს შეუძლიან ადგილიდან ადგილზე გადატანა. ამ გვარი იარაღი ჯერ 50-ია დამზადებული, ახლო მომავალში მზათ ექნებათ კიდევ 200. ამ იარაღს „რუსკი ინვალიდის“ ცნობით რუსეთის ასპარეზისათვის ამზადებენ.

**ანარქისტების და ანტიმილიტარისტების მოწოდება.**

„Ze Bataillia“-ში გამოქვეყნებულია ანარქისტების და ანტიმილისტარისტების მოწოდება, რომელსაც ხელს აწერენ გამოჩენილი პირ-ი, მათ შორისაც კრაპოტკინი და სხვ. ხელის მომწერნი წინააღმდეგნი არიან ზავის ჩამოგდებისა, ვიდრე მტერი არ განადგურდება.

მოწოდებაში ნათქვამია: „ჩვენ ყველანი ხმა მაღლა გამოვთქვამთ ომის და მილიტარიზმის წინააღმდეგ და ვამბობთ, რომ ზავის პირობები საერთაშორისო სამართლის შესაფერისი უნდა იყოს. ... ჩვენ ვიცით, რომ გერმანელი ხალხი ... 28 თებერვალს.

**მაკენზენი—მთავარსარდალი ოსმალთა ჯარისა**

„Dailu News“ რომიდან იტყობინება: გენერალ მაკენზენი, რომელიც დღეს სტამბოლში იმყოფება, ოსმალთა ჯარების მთავარ-სარდლად დაინიშნება.

**მფრინავთა მოქმედება**

სალონიკის ბერძნულ ჰაეროპლანების თავდასხმის შესახებ ათინიდან იტყობინებიან: მფრინავებმა სალონიკს ჩამოუშვეს ყუმბარები, მოკლეს 45 მოქალაქე დაიჭრა, ამათგან 20 მოკლეს, 25 დაიჭრა. ჯარის კაცებიდან 16 მოკლეს და 40 დაიჭრა. მოკავშირეთა მფრინავებმა გერმანელთა ბანაკს ... ჩამოაგდეს.

**გერმანეთის სახალხო ფლოტი**

გერმანელები დიდ იმედით უყურებენ თავიანთ საზღვაო ფლოტს, რომელიც ნეიტრალ სახელმწიფოებში იმყოფებიან. გერმანელები აშკარად ამბობენ, რომ ... ფლოტის დახმარებით ... ჯარის ... ვერაფერს ... წყალქვეშა ნავები ... გერმანია დიდ ... ზღვაზე.

**გერმანეთი და ამერიკა**

„Daily Chrouicle“-ს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იტყობინება: ვილსონს გადაწყვეტილი აქვს დიპლომატიური კავშირი შესწყვიტოს გერმანეთთან, თუ დამტკიცდა გემი „სუსსექის“ დაღუპვა.

— ლონდონიდან იტყობინებიან: ლანსინგმა დაავალა ამერიკის ელჩს ბერლინში, გამოიძიოს გემების „სუსსექის“ და „ინგლიშმენის“ საქმე. პრესა მოითხოვს ვილსონისაგან დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტას გერმანეთთან, მაგრამ ვილსონმა ეს საკითხი განსახილველად კონგრესს გადასცა.

**იმპერის აზრი**

სენატორი ემბერი სწერს: „მტერმა მთელ მსოფლიოს ომი გამოუცხადა. მოკავშირეთა სახელმწიფოებმა გერმანიის მისწრაფება უნდა დაამარცხონ, მათ ... ძალა ... ჩვენ ... მტერი არ შეურიგა. დიდება ... ომის მოგებაზე დამოკიდებულება. ... მტრის ... ჩვენ შორის არ არიან მხედრები. გერმანელმა მეფემ ზარბაზნებით გაჰოკერია ... ჩვენს ... არ ... რომ ... მან მინიჭა.

**საბერძნეთის პროტესტი**

პეტრასში მოკავშირეებმა ორი გემი დაატყვევეს, ამის გამო საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეთა წინაშე პროტესტი განაცხადა. საბერძნეთის უფლებების შელახვისათვის.

**რუსეთის აზრი**

გაზ. „La Liberte“-ში პოლკოვნიკი რუსსელი სწერს: რადგანაც ჩვენ ასპარეზზე ვერდენის, ტიტანიური ბრძოლა სწარმოებს, გავიგოთ, სხვა ადგილებში ჩვენი ჯარი ამოძრავდებოდა და მით მტერს გეზს შეუცვლიდნენ. ჩვენ-კი რას ვშვრებით? სხვა ადგილებში ფრანგებისა და ინგლისის ჯარი უმოქმედობის ინგის.

**ალბანეთში.**

ბულგარელთა ჯარი ალბანეთში შემოვიდა გერმანელთა, ისე რომ გერმანელების ბრძოლის ხაზი რკალივით მოიხარა. ქალაქში ზარბაზნების ხმა ისმის. საბერძნეთისა და ალბანეთის საზღვარზე დიდძალი ჯარი მოეყარა თავი. გერმანელებისაგან გამოიყო ჯარები, ბოლგარელები კი ისე ძმასხან, ვითომ სამტრობის მიზეზი არის სხვა, ვიდრე გერმანელების იტალიელებმა, რომ სამტრობის მიზეზი აღმოჩნდეს ერთი ... გამოცხადდენ.

**საფრანგეთის პრესა ვერდენის შესახებ.**

მთელი საფრანგეთის ჟურნალიზმი დღეს მოქცეულია ვერდენისაკენ, რადგანაც დღეს მთავარი ბრძოლა ვერდენის მიდამოებში მიდის. სხვა ადგილებში გერმანელები ისე უსუსურად მიიჩნევენ, რომ მტერს ერთი ნაბიჯიც არ დაუთმეს. მათ ერთად ერთი მიზანი აქვთ, მხოლოდ ვერდენისთვის ... ამას მთელი სამყაროს ომი ჰქვია და ... სამყაროს შემოიჭრნენ საფრანგეთში.

**გერმანელთა მიზანი.**

პოლკოვნიკი რეპინგტონი ამტკიცებს: გერმანელები განაახლებენ რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას, რომელიც მოკავშირეთა მოქმედების შეთანხმებას უფრო მეტად აძნელებს, და მათ შეეძლებათ ჯარით ... მოიტანონ. იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს გერმანელთა ფლოტის, რომელსაც მტრის კავშირი მოკავშირეთა მოქმედების საწინააღმდეგოდ ზღვისაკენ შესაფერი ჩაგდება.

## ბრძოლის ველზე

არ გამოირკვა რის საშუალებით მოახერხეს გერმანელებმა, ვერდენის ალყა, რომ გერმანელები, რომელთაც მთელი ძალა შესწირეს საქმეს. აქ უფრო საეჭვოა, რომ ვერდენის საყოველთაო მნიშვნელობა ... ფრანგების ... გერმანელებს ამ ომის საბოლოო შედეგზე გავლენა აქვს და ... ამ ბრძოლას, როცა ... ფრანგები სიმაგრეებს ... ომის დროს ... ფრანგების ... მიერ. ბრძოლა ... ვერდენის ... გერმანელები ...

[ნაწილობრივ იკითხება]

საკითხი იღძრება, რამდენ ხანს გასტანს ეს ოპერაცია? ცხადია, წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ ფაქტორის მიხედვით ეს ბოლო შორსაც აღარ უნდა იყოს, თუ გაგრძელდა ბრძოლა, მაშინ ეს უნდა მიეწეროს უკიდურეს თავგანწირულებას და, მეორეც, იმ გარემოებას, რომ თვით ფრანგებიც აღარ ერიდებიან მსხვერპლს. როგორცსჩანს, მართლა სათადარიგო ჯარიც გაუწვევიათ, რაიც თითქმის ნახევრად მაინც ცხადს ჰყოფს იმ აზრს, რომ ამ ბრძოლაში ... X.

**თბილისი, 23 მარტი.**

**ომი და ჩვენი გრძელვადის და არა-ალმ-მოქმედება**

... ომმა ჩვენი ... ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა იქონია ... ომის დროს ... ჩვენი სოფლის მეურნეობა ... მრეწველობა ... გერმანიის ...

[ნაწილობრივ იკითხება]

ჩვენ გვჭირდება ის ... რომ ... ვაჭრობა-მრეწველობა ... ომის შემდეგ ... და ჩვენი ...

... არ აფიქრებს. რასაკვირველია, ბევრი ისეთი საქონელი შემოგვაქვს, რომ მათი აქ დამუშავება დღევანდელ პირობებში მეტად ძნელი იქნებოდა, მაგრამ უფრო მეტი კი ისეთია, რომელიც ყოველ კუთხეში დამზადდება.

ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობას სალი კომერციული სული რომ ამოქმედებდეს, ჩვენს ქვეყანაში, ამ ომიანობის დროს ახალი სამრეწველო წარმოებების შექმნას უსათუოდ ეცდებოდნენ. რუსეთში ამ მხრივ დიდი მუშაობაა და ბევრი რამ ისეთი, რაც წინეთ უცხოეთიდან შემოჰქონდათ, ეხლა უკვე რუსეთში მზადდება. ...

[ნაწილობრივ იკითხება]

... ბის სინამდვილეში შექმნილ ურთიერთობის ნიადაგზედ შეიძლება საქართველოს ჩამოჭრილ ნაწილების საერთო ეროვნულ სხეულთან შეზრდა და შესისხლხორცება. ჩვენი სუსტი აღებმიცემობა ძალას უნდა იკრებდეს, წელში გაშლას უნდა სცდილობდეს, რომ თავის სამოქმედო ფარგალში მოაქციოს საქართველოს ის ნაწილები, რომელთა შემოერთებამ მრავალი ქართველის სიცოცხლე შეიწირა.

## საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქარ.“ № 65)

პირველი ხანის ე. ი. 1899—1903 წლებში მცხოვრებთა უმთავრესი საქმიანობა, როგორც წინედაც, **მიწათ მოქმედებაში** გამოიხატებოდა აღნიშნულ წლების განმავლობაში

სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა განისაზღვრებოდა შემდეგ ნაირად:

მ ა ზ რ ე ბ ი

ანგარიში წარმოებს დესეტინობით.

| წლები | ოზურგეთის | ზუგდიდის | სენაკის | ქუთაისის | შორაპნის | რაჭის | ლეჩხუმ. | მთელი ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1899 | 32.807 | 39,820 | 40.516 | 41.854 | 51.449 | 12.983 | 23.916 | 243.345 |
| 1900 | 33.670 | 32.960 | 38.081 | 40.874 | 59.702 | 13.172 | 14.424 | 232.983 |
| 1901 | 33.940 | 31.576 | 49.607 | 41.527 | 58.213 | 12.780 | 16.926 | 244.569 |
| 1902 | 32.328 | 31.636 | 41.316 | 50.012 | 62.238 | 11.732 | 17.503 | 246.765[1] |
| 1903 | 25.932 | 39.152 | 31.187 | 54,853 | 23.439 | 8.997 | 20.265 | 203.825[2] |

უდიდესი მიწის სივრცე მოდის 1902 წ., როდესაც მოხნულ-მოთესილ. 246.765 დესეტინა, სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა-კი გაცილებით მეტია, რადგან ეს უკანასკნელი, სხვა და სხვა წლებში ერთ და იმავე მიმართულებით არ იცვლება დასახელებულ მაზრებში. თუ შეკრეფთ ცხრილში მოყვანილ უმაღლეს ციფრებს ყოველი ცალკე მაზრისათვის, მივიღებთ 276,975 დესეტინას ე. ი. 1902 წ. 30, 210 დესეტინით ნაკლები ყოფილა მოხნულ-მოთესილი, ვიდრე ეს შესაძლო იყო; ამდენი სივრცის გაუქმების მიზეზია ადრიანი ზამთარი, წვიმები და სხვ. ატმოსფერული მოვლენანი; აგრეთვე მასიური გაფიცვები, რომელიც იწყე^ა კანტი-კუნტათ ზოგიერთ მაზრებში 1902—1903 წ.წ., სახნავ-სათესი სივრცის გაფართოება კი გამოწვეულია უტეხ ტყეების გაკაფვითა და ახალი მიწების დამუშავებით; ასეთს მოვლენებს ქონდა ადგილი მაგ. 1899 წ. შორაპნის მაზრაში, ლეჩხუმის მაზრაში, ზუგდიდის მაზრაში და სხვ., ტყეების გაკაფვა სახნავი მიწების გასაჩენათ წლიდან-წლამდი მატულობს ლეჩხუმის მაზრაში; მაგ. 1900 წელსაც გაკაფეს ამ მიზნით 1024 დესეტინა. 1901 წ. კი კიდევ მიემატა 757½ ქცევა. ამ მხრივ ჩვენს მიერ აღებულ მოკლე დროის განმავლობაშიც ჩვენი მშრომელი ხალხის საქმიანობას წარმატება ემჩნევა. ფრიად საინტერესოა მეორეს მხრივ თუ რაგვარათ განისაზღვრება სათესი მარცვლეულობის რაოდენობა მიჩნეულ წლებში; მაშინ როდესაც 1899—1903 წ. წ. სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა მხოლოდ ქუთაისის მაზრაში 31,06⁰/₀-ით მატულობს ე. ი. ამდენათ განიერდება, ვრცელდება ჩვენი სოფლის მშრომელი ხალხის საქმიანობის ასპარეზი ამ მოვლენასთან პარალელად ოდნავათ, მაგრამ მაინც შესამჩნევათ იცვლება სათესი მარცვლეულობათა პროცენტიული ურთიერთობა; მაგ. ქუთაისის მაზრაში 1899 წ. სიმინდისათვის მოხნული სივრცე—39.080 დესეტინა უდრიდა 93,37⁰/₀ მაზრის მთელი სახნავ-სათესი მიწის რაოდენობისას; 1902 წ.. ე. ი. ორი წლის შემდეგ იგივე პროცენტიული რაოდენობა გამოიხატება 89,9⁰/₀ ე. ი. სიმინდისათვის მიჩენილ სახნავი მიწის რაოდენობა, 3,47⁰/₀-ით იკლებს ზუგდიდის მაზრაში 1899 წ. დაითესა სიმინდათ 38843 დესეტინა, ე. ი. მთელი სახნავ-სათესი მიწის 98,98⁰/₀. აქედან ცხადია, სიმინდის, როგორც ხალხის ერთად ერთი საკვები მასალის თესვა როგორაა გავრცელებული ამ კუთხეში. 1902 წ. კი სიმინდით მოთესილი სივრცე უდრის 30393 დესიატ. ე. ი. 95,31⁰/₀. აქ ცოტათი მაინც ემჩნევა რომ სიმინდის მოყვანასთან სოფლის მშრომელი გლეხობა ეტანება სხვა მცენარეულობასაც. შორაპნის მაზრაში 1899 წ. სიმინდი მოითესა 43000 დესიატინა, ე. ი. მთელი სახნავ სათესი მიწის რაოდენობის 83,5 (7)⁰/₀; 1902 წ. კი სიმინდით მოთესილი სივრცე უდრის 46349 დესეტ. ე. ი. მთელი სახნავი სივრცისას 74.47⁰/₀; აქ უკვე დანარჩენ მარცვლეულობათა მოყვანა საგრძნობლად მატულობს. ამ მაზრის მცხოვრებთ ეტყობა მეტი სიფხიზლე და პრაქტიკული უნარი. რაჭის მაზრაში 1899 წ. სიმინდით მოითესა 4840 დესეტინა, რაც შეადგენს 35,21⁰/₀ მთელი სახნავ-სათესი სივრცისას; 1902 წ. კი სიმინდით ითესება 4535 დესეტინა და პროცენტული ურთიერთობა სიმინდისა და სხვა მარცვლეულობათა (ხორბალი, პური, ქერი და სხვ.) შორის გამოიხატება 30,98⁰/₀-ით, ე. ი. მთელი 4,23⁰/₀ კლებულობს.

მოყვანილ ციფრებიდან ცხადია, რომ ტყეების გაკაფვით სამეურნეო მოქმედების ასპარეზის გაფართოებაში და მეტ სარგებლიან მარცვლეულობათა შერჩევით ჩვენი სოფლის მშრომელი ხალხი 1899—1903 წწ. თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა და ასე ვთქვათ ინტენსიურ მეურნეობისათვის ექსპერიმენტებს აკეთებდა.

სახნავ-სათესი მიწის რაოდენობას ძლიერ შემატა **ვენახების** დაავადმყოფებამ—ფილოქსერის გაჩენამ. ვენახები მეტად დაზარალდა ოზურგეთისა, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში და ბათომისა და ართვინის ოლქებში. დაავადმყოფებულ ვენახებს სჭრიდენ და უწინდელი სავენახე ადგილები სახნავ-სათესად იხმარებოდა; ამის გამო ძალზე მოიკლო მევენახეობამ და რაც დარჩა ძველი ვენახებიდან ისიც დაქვეითდა ხარისხით, მეტადრე ხსენებულ მაზრებში, სადაც მეტის ყურადღებით მოკიდეს ხელ. „ოდესას“ ყურძნის მოშენებას, რადგან ფილოქსერა ამ ვენახს ვერაფერს აკლებდა; „ოდესას“ ყურძნის ღვინო კი თავისი თვისებით მდარეა. ვენახს გამოცოცხლება დაეტყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვენახის წამლობა შემოიღეს და ამერიკული ვაზის ნამყენების გაშენება დაიწყეს. მევენახეობის განვითარებას დასავლეთ საქართველოში გვაუწყებს შემდეგი ცხრილი:

| წლები | საერთო სივრცე ვენახ. დესეტინობით | საერთო რიცხვი ვენახის ბაღებისა | რამდენი ფუთი ყურძენი მოვიდა | პროცენტ. რაოდ. ამიერ კავკ. მოსავ. შედ. | გაწურულ ღვინო სათ. (ვედრო) | ⁰/₀ რაოდ. ამიერ კავკ. გამოხ. რაოდ. | რამდენი გრადუსი ყურძ. სპირტი გაწურ. | ⁰/₀ რაოდ. ა.-კავკ. გამოხდ. სპირტთან. შედ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1898 | 25.292 | 78.275 | 2.590.592 | 19,5 ⁰/₀ | 1.671.694 | 22 ⁰/₀ | ■2.43.695 | 11,8 ⁰/₀ |
| 1899 | 25.224 | 78.065 | 2.139.534 | 18,7 „ | 1.375.655 | 20 „ | 2.921.304 | 11.7 „ |
| 1900 | 25.871 | 79.955 | 2.658.147 | 21.8 „ | 1.771.704 | 30 „ | 3.435.947 | 15.5 „ |
| 1901 | 25.815 | 80.365 | 1.622.180 | 22.6 „ | 1.019.777 | 25 „ | 1.971.356 | 13.5 „ |
| 1902 | 25.929 | 81.331 | 2.922.088 | 25.25 „ | 1.807.001 | 26,8 „ | 1.354.450 | 9 „ |

(შემდეგი იქნება)

**ტიტე მარგველაშვილი.**

¹) 1902 წ. „Обзоръ Кут. Губ.“

²) აქვე აღვნიშნავ მკითხველთა საყურადღებოდ რომ ოფიციალურ წყაროებში ზოგჯერ ცხადი შეცდომებია შეპარული მაგ.: 1900 წლის „Обзоръ Кут. Губ.“ გვ. 11 ნაჩვენებია ზუგდიდის მაზრაში მოხნულ-მოთესილ მიწის რაოდენობა ციფრით 320.960 დესეტინა, აქედან 319.992 დესეტინა უნდა ყოფილიყო სიმინდით მოთესილი. ეს ცნობები ირღვევა მითი რომ 1) თვით ზუგდიდის მაზრა ბევრათ უფრო ნაკლები სივრცისაა ვინემ მოყვანილი ციფრი 2) იმავე „Обзоръ“-ის 13 გვ. ცნობაა რომ სახნავ-სათესი სივრცის რაოდენობა 6.860 დესეტინით ნაკლებია შარშანდელზეო. აქედან და სხვა მოსაზრებითაც ჩვენ აღვნიშნეთ ზუგდიდის მაზრის 1900 წ. მოხნულ-მოთესილ სივრცის რაოდენობა ზემო ცხრილში მოყვანილ ციფრით (ციფრში 319.992 ზედმეტჯერ შეუტანიათ ერთი (ცხრიანი) რიცხვს 203825 უნდა მიემატოს კიდევ 146 დესეტინა რომელიც მოთესილ იქმნა ქალაქებში (ქუთაისში—9, ფოთში—30, რედუტ-კალეში—102, ოზურგეთში—5) მაშასადამე სულ 1903 წ. მოთესილ სივრცის რაოდენობა=203.971 დეს. შეცდომით სხვა ციფრია ნაჩვენები. შედარების დროს აშკარად დავინახეთ, რომ ავტორებს გამორჩენიათ თუ გამოუტოვებიათ ზოგი წვრილმანი ციფრები.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპონდენტებისაგან)

მაკენზენი სოფიაში ჩამოსულა და იქ ხანგრძლივი თათბირი ჰქონია ბულგარეთის მეფე ფერდინანდთან. ამ თათბირის შემდეგ მაკენზენი ბულგარეთის მთავარ სამხედრო ბანაკში წასულა.

—

„ბირჟ. ვედ." სტოკჰოლმიდან ატყობინებენ: გერმანეთის რეიხსტაგის კომისიაში სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს იმ რეზოლიუციას, რომელთა კომისია წინადადებას აძლევს მთავრობას განაგრძოს მთელის სიძლიერით წყალქვეშა ნავების თარეში. ლედებურის წინადადება შესახებ იმისა, რომ მთავრობას მოლაპარაკება დაეწყო მეომარ სახელმწიფოებთან, კომისიამ ერთხმად უარჰყო.

—

ჰოლანდიაში დღითი-დღე საქმის მდგომარეობა საშინლად მწვავდება. ხალხი საშინლად აღელვებულია, თუმცა ზოგიერთის აზრით ჰოლანდიის ომში ჩარევაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

—

„დეილ ხრონიკლი"-ს სამხედრო მიმომხილველი ამბობს, კავკასიის ჯარების მიერ მამახათუნის აღება ნიშნავს ამავე დროს ერზინდჯანის გასაღების ხელში ჩაგდებასაო.

—

გუშინ სინოდმა განიხილა სამიტროპოლიტოების აღდგენის საკითხი, რომელმაც როგორც ვიცით, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში. რადგანაც ამ საკითხმა სინოდის წევრებთა შორის უთანხმოება გამოიწვია, სამიტროპოლიტოების აღდგენა რუსეთში სხვა დროისთვის გადაიდო.

ლ. ჯ.

—

(მოსკოვის საკუთარ კორესპონდენ.)

აქაური გაზეთებს ჰოლანდიიდან ატყობინებენ: მთავრობა გაცხარებით ემზადება ომისათვისო. პარიზში მომხდარ მოკავშირეთა კონფერენციამ დაარწმუნა ჰოლანდიელები, რომ მთავარი საფრთხე მათ ინგლისელებისაგან მოელისო.

—

როგორც ვიცით ცნობილი გენერალი, მთავარ-სარდალი ივანოვი სამსახურიდან გადადგა. მის ნაცვლად ახლა გენერალი ბრუსილოვი დანიშნეს.

—

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: ავსტრიის მრავალი სამთო ზარბაზნები სტამბოლში ჩაუტანიათ და იქიდან სახქაროთ კავკასიის ასპარეზისაკენ ჰგზავნიანო.

—

კავკასიის მეფისნაცვალს განუზრახავს გადასდოს ნახევარი მილიონი მან. და ამ ფულით ხელი შეუწყოს ახლად დაპყრობილ ოსმალეთის მიწა-წყალზედ რუსეთის ქვეშევრდომთა დასახლებას.

—

მოსკოვში თავი მოიკლა ჟურნალ „ნაროდ ი ობლასტი"-ს რედაქტორმა ბ. ვიქტორ ობნინსკიმ.

—

„კელნიშ ცაიტუნგ"-ი ირწმუნება: გერმანეთის ქიმიკოსებმა აღმოაჩინეს ახალი ლითონი, რომელიც ფერომარგანეცის მაგიერობას ეწევა.

გ. ვ.

(პეტროგრადის სააგენტოს დეპეშებიდან)

რიგა-დვინსკის ასპარეზზე გერმანელებმა მედგარი იერიშები მიიტანეს იქსკიულის წინააღმდეგ, მაგრამ უკუ ქცეული იქმნენ. წყალდიდობა მოქმედებას აფერხებს.

—

კავკასიის ასპარეზზე ზემო ჭოროხის ხეობაში, რუსებმა აიღეს გამაგრებული მაღლობები. დაატყვევეს ასი ასკერი. მუშთანის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოსმალების იერიშები მოიგერიეს.

—

ვერდენთან გერმანელთ გააფთრებული იერიშები მიაქვთ მასიის დასავლეთით სოფ. ოკურზე და ქ. ენზედ. აღმოსავლეთით აიღეს სოფ. ვო და მის ჩრდილოეთით ვოს ტყე.

—

ინგლისს კვლავ თავს დაესხნენ გერმანეთის ცეპელინები, ჩამოჰყარეს 200 დიდი ყალიბის ყუმბარა. მოჰკლეს 16 კაცი, დაიჭრა 100. დაინგრა 8 სახლი. ცეპელინები ინგლისიდან საფრანგეთში გადმოვიდნენ და ყუმბარები დაუშინეს ქ. დუნკერსს. ზარალი დიდია.

—

გერმანეთის წყალქვეშა გემებმა კიდე სამი გემი ჩასძირეს.

# ახალი ამბავი

✦ **უმაღლესი მადლობა.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმაღლესი მადლობა გამოუცხადა ომის დროს გაწეულ სამსახურისთვის გროზნოს ოლქის უფროსს ჯაფარიძეს.

**სასახლეში.** ინგლისის სტუმრების პატივსაცემლად გაიმართა ნადიმი. დაესწრნენ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეუღლით დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლით და მთელი სასახლის წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე თვით სტუმრები: გენერალი კალუელი, ბარონ მეინდორფი, კაპიტნები უეგრიმი და მირჩი.

✦ **წმ. ნინოს საავადმყოფოში** გუშინ გადახდილ იქმნა პანაშვიდი „პორტიუგალზე" დაღუპულ კნ. ა. ს. ანდრონიკაშვილისა და სხვ. სულის მოსახსენებლად.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი ნაალდგომევს პეტროგრადს აპირებს გამგზავრებას.

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წლიური კრება** გაიმართება კვირას, 27 მარტს, შუადღის 12 საათზე, ექიმთა საზოგადოების დარბაზში. კრებაზე განხილულ იქნება შემდეგი საგნები: 1) ახალი წევრების მიღება. 2) 1914/15 წლის ანგარიში. 3) 1916/17 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 4) წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა და 5) მიმდინარე საქმეები.

საზოგადოების წარსული წლის ანგარიში იმყოფება და მისი მიღება მსურველთ შეუძლიანთ შაბათს, 26 მარტს საზოგადოების კანცელარიაში.

✦ **ფულის გაფლანგვა.** საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბ. ჟუკოვმა უკვე დაამთავრა გამოძიება თბ. ქართულ გიმნაზიის ყოფილ ბუხგალტერის, კასსირის და საქმის მწარმოებლის დ. პ. ეპიტაშვილის საქმის, რომელსაც ფულის გაფლანგვა და ყალბი საბუთების შედგენა ბრალდება ამავე გიმნაზიაში. ბ-ნი ეპიტაშვილი ამ ჟამად მსახურებს წითელ ჯვრის გამგეობაში კავკასიის ერთ ერთ ფრონტზე.

✦ **წითელ კვერცხის დღე.** გუშინ ქალაქში ჯარისკაცთა სააღდგომო საჩუქრების სასყიდლად ყულაბებით ფული შეგროვდა.

✦ **ყაჩაღთა ბრბოს შეპყრობა.** გორის სამაზრო პოლიციას შეუპყრია მთელი ბრბო, რომელიც დათარეშობდა საყაჩაღოთ ამ მაზრაში. ბრბოში შედიან გ. ხახიაშვილი (გაქცეული ჯარისკაცი), ს. გუნდიშვილი, ნ. გოგიძე და მ. გოვენიძე.

✦ **საჯარო ლექცია.** როგორც ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა განაცხადა, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორად ნამყოფს ცნობილ პროფესორს მანუილოვს სურვილი გამოუთქვამს თბილისში ჩამოვიდეს და ვნების კვირაში რამდენიმე ლექცია წაიკითხოს რუსეთის ეხლანდელ ეკონომიურ ცხოვრების შესახებ.

✦ **სამძიმრის დეპეშები.** გუშინ, 22 მარტს, ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ გამგეობას სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ქალაქის თვითმართველობის მაგიერ სასანიტარო გემის „პორტიუგალის" და წითელ ჯვრის მოსამსახურეთა ტრაღიკულად დაღუპვის გამო შავს ზღვაში.

✦ **სამრევლო სკოლების** ახლად დანიშნული მეთვალყურე ი. დ. როდინსკი, გუშინ თბილისში ჩამოვიდა და სამსახურის საქმეების შესრულებას შეუდგა. იგი ქ. რიაზანიდან არის გადმოყვანილი, სადაც ამავე თანამდებობას ასრულებდა.

✦ **მ. ანტონის მონასტრის** დასათვალიერებლად იმ კვირია მიემგზავრება საქართველოს ეგზარხოსი პლატონი.

✦ **საქალაქო ლაბორატორიას** ქიმიკურ გამოკვლევის შემდეგ უვარგისად უცვნია აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში ნაყიდი შაქრიანი კვერები, რომელიც აფიცერ ლარიონოვს უყიდნია. ლაბორატორიის გამგეობამ ოქმი შეუდგინა პატრონს ამ ნამცხვრისას, რომელიც აწვდის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებას ამნაირ უვარგის საქონელს.

✦ **შიო მღვიმელის** 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ დაადგინა მიეცეს იუბილიარს 300 მანეთი. ეს ფული გადაეცემა საიუბილეო კომიტეტის ხაზინადარს ა. ი. ზედგინიძისას.

✦ **ქალაქის არჩევნები.** კვირას, 27 მარტს, ქალაქის ხმოსანთა არჩევნები მოხდება: მე-4 საარჩევნო უბნისა (მე-6 და მე-7 საპოლიციო უბნები) არაქსიანის სახელობის თეატრის დარბაზში (ავლაბარი); მე-5 საარჩევნო უბნის (მე-8 საპოლიციო უბანი) თბილისის საკომერციო სასწავლებლის დარბაზში (19 თებერვლის ქუჩა); მე-6 საარჩევნო უბნისა (მე-9 და მე-10 საპოლიციო უბნები) ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში; მე-7 საარჩევნო უბნის (მე-11 და მე-12 საპოლიციო უბნები) საქალაქო სასწავლებლის დარბაზში (ნაძალადევი, ბოტეს სახლი). არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე და გასტანს საღამოს 6 საათამდე. ის პირნი, რომელნიც გაშავდნენ რომელიმე საარჩევნო უბანში, უფლებას არ არიან მოკლებულნი სხვა საარჩევნო უბანში იყარონ კენჭი ხმოსნობაზე, თუ იქ საჭირო ცენზი ექნება. აგრეთვე იმ პირთ, რომელიც გაშავებულ იქმნენ ანუ იქმნებიან რომელიმე საარჩევნო უბანში, უფლება აქვთ დამატებითი არჩევნების დროს იმავე უბანში იყარონ კენჭი მხოლოდ ხმოსნის კანდიდატობაზე. დამატებითი არჩევნები ყველა საარჩევნო უბანში მოხდება 3 აპრილს.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** ახალ-ქალაქის განყოფილება საზოგადოების მთავარ გამგეობას სთხოვს სხვა და სხვა თესლეულობას სოფლებისათვის.

✦ **უვარგისი კალბასი.** ქალაქის საქიმიო ლაბორატორიამ დაათვალიერა საკალბასოები მუხრანის, მადათოვის და დამოვის ქუჩებზე და უვარგისი კალბასი აღმოაჩინა კაბულოვის ქურხულის და კორიდის სახელოსნოებში. კაბულოვის სახელოსნო დახურა და დანარჩენთ ოქმები შეუდგინა და უვარგისი კალბასი ჩამოართვა.

✦ **შემოიტანეს** თბილისში 21 მარტს: ფქვილი 4 ვაგ., ხორბალი 4 ვაგ., ქერი 10 ვაგ., მარილი 2 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., შეშა 3 ვაგონი.

✦ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 22 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 1, ქუნთრუშიანი 124, სახადიანი 115, ხუნაგიანი 15, ყვავილიანი 1, საოფლიანი 12, მენინგიტიანი 1 კაცი.

✦ **ხელთნაწერი ვეფხის ტყაოსნისა.** ქართულ მუზეუმის გამგეს ბ-ნ იუსტინე აბულაძეს მეტად საგულისხმიერო ხელთნაწერი შეუძენია სპარსულიდან პროზად გადმოღებული ძველი ვეფხის ტყაოსნისა, რომელიც მასალად გამოსდგომია შოთა რუსთველს თვის უკვდავ ნაწარმოების შესაქმნელად. ხელთნაწერი გორის მაზრიდან არის ჩამოტანილი და საფლავის თხრის დროს უპოვიათ.

✦ **ნოტარიუსის თანამდებობა.** დ. ცხინვალში თავისუფალია ნოტარიუსის ადგილი. მსურველთ უნდა მიმართონ თბ. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე თხოვნით და საჭირო საბუთებიც წარადგინონ. იმ პირთ, ვინც ნოტარიუსათ არ არის და საჭირო გამოცდა არ ჩაუბარებიათ, უნდა გამოცხადდენ გამოცდაზე მიმდინარე წლის 20 აპრილს სასამართლოს ბინაზე გამოცდის ჩასაბარებლად.

✦ **ქართულ თეატრის აღსადგენად.** ახალ კლუბის საბჭოს მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 20 მარტამდე შემოსვლია %% ბუფეტიდან და შესასვლელ გადასახადიდან 2,606 მან. 30 კ. ამა წლის 1 იანვრამდე კი კლუბს გარდა ამ თანხისა გადაუცია თეატრის სააღმაშენებლო კომიტეტისთვის 9,204 მ. 70 კაპ.

✦ **საოლქო სასამართლოს სესია** გაემგზავრა გორს. სხდომები გაგრძელდება 27 მარტამდის.

✦ **რექტორად** თბილისის სასულიერო სემინარიისა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ინიშნება თბ. ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორი დეკ. კ. კეკელიძე.

✦ **ქართულ პურის მცხობელთა გასაჭირი.** დღემდე ქართულ პურის მცხობლები სავაჭრო მოწმობებს იღებდენ მერვე ხარისხისას და იხდიდნენ წლიურად 6 მანეთს. წელს ქალაქის მეორე უბნის ხარჯის ამკრებ ინსპექტორს თვის რაიონში ე. ი. მესამე მეოთხე და მეხუთე საპოლიციო უბნებში მოვაჭრე მეპურეები შეუტანია მესამე ხარისხის სიაში, რის გამო გადასახადი 6 მანეთის გარდა 42 მან. 50 კ. ემატებათ. ამის გამო ამ უბნებში მოვაჭრე მეპურეებმა ეს დადგენილება განასაჩივრეს საგუბერნიო სახალხო გამგეობაში. მიუხედავთ იმისა, რომ კანონის ძალით განსაჩივრების შემდეგ მეპურეებს ეძლევათ ორი თვის ვადა ძველ პირობებში ყოფნისა, ვიდრე ამ საკითხს ასე თუ ისე გადასწყვეტდეს საგუბერნიო ხარკის ამკრები საკრებულო, თბილისის პოლიცია განსაკუთრებით კი მეოთხე უბანში ძალას ატანს მეპურეებს უსათუოდ შეიძინონ მესამე ხარისხის მოწმობანი და ვინც უარს ეუბნება საცხობს უკეტავს და ამ გვარად მეოთხე უბანში უკვე 14 საცხობი უკვე დახურულია, რის გამო ამ უბანში გამომცხვარი პური ძვირი საშოვარი შეიქმნა. საჭიროა ვისაც ჯერ არს ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და ასეთი რეპრესიული ზომები შეაჩეროს ვიდრე საგუბერნიო საკრებულო თავის მსჯავრს გამოიტანს მათ საჩივარზე.

**ქუთაისი.**

— 27 მარტს დანიშნულია ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები. ა) გადაშინჯვა და დამტკიცება 1915 წ. ხარჯთაღრიცხვისა, ბ) განხილვა და დამტკიცება 1916 წ. ხარჯთაღრიცხვისა, გ) შეცვლა საზ. წესდების რამდენიმე მუხლისა, დ) დაწესება საპენსიო კასისა მოსამსახურეთათვის და ე) ამორჩევა საზ. თავმჯდომარისა, საბჭოს ერთი წევრისა და სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მისი კანდიდატების.

—

**ზრომა** (სიღ. მაზრა). კარგა ხანია რაც ადგილობრივმა გლეხობამ თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარხოს ხაზინის ხარჯზე ეკლესიის აშენების შესახებ; ამ საკითხის ადგილობრივ გამორკვევა დაუვალებიათ მახლობელ რუსის სოფლის მღვდლისათვის; ეკლესიის ასაშენებელი ადგილი სოფელს უკვე მზათა აქვს, მხოლოდ სხვა ხარჯების გაწევას ეკლესიის ასაშენებლად ასეთ დროს, აბა, როგორ შესძლებენ.

ყანები უკვე დაითესა, ჭირნახულს კარგი პირი უჩანს; თამბაქოს ნერგის გაკეთებასაც კარგა ხანია შეუდგნენ.

# შიმშილობის მოლოდინში

„აგრონომმა დალაქიშვილმა ცნობები წარმოუდგინა თბილისის გუბერნატორს. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ დუშეთის მაზრაში წლეულს წარსულ წლებთან შედარებით 30% ნაკლები მიწები დათესილია. მიზეზი ამისა უმთავრესად მუშა-ხელის უქონლობაა და სათესლე მასალის სიძვირე",—ასეთს ამბავს ამოიკითხავდით გუშინ ჩვენს გაზეთის ფურცლებზე. თითქოს განგებ ბ-ნ დალაქიშვილის მოხსენების საილუსტრაციოდ გუშინდელსავე ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ორი კორესპონდენცია ბ-ნ გრ. საქარიქედელისა და დაუთბეისა. ერთი იწერება კახეთიდან, ხოლო მეორე ქართლიდან. ხსენებული კორესპონდენტები მარტივი და სადა ფერადებით აგვიწერენ ქართლ-კახეთის სოფლის უმწეო მდგომარეობას იმავე „მუშა ხელის" ნაკლულევანობის გამო. ამასთანავე ყურადღება მიუქცევიათ მზარავ მოვლენისათვის—ძარცვა—ქურდობა—ყაჩაღობისათვის. ამ მხრივ საინტერესოა დაუთბეის კორეპსონდენცია. ამ წერილში ჩვენ ვხედავთ, რომ ქურდობენ და ყაჩაღობენ არა მარტო თავზე ხელაღებული გაცვეთილნი, არამედ თვით სოფლელებიც კი, თუნდა ისეთი ადამიანი, როგორიც „მიტრა ჯოველიძეა", რომელსაც კორესპონდენტის სიტყვით, მთელი სოფელი იცნობდა როგორც „სოფლის თვალს" და „პატიოსან ადამიანს". „ამ წყეულმა დრომ რა არ შესცვალა! რამდენი ასეთი ჯოველიძე გაუბედურდა და ვინ იცის, რამდენი კიდევ გაუბედურდება. შიმშილობა და სულის გამწარება თავზე ხელს აღებინებს ყველას..." ასეთი წუხილით ათავებს წერილს ჩვენი კორესპონდენტი. დამაფიქრებელია მისი შენიშვნა, დამაფიქრებელი და გულის მომკვლელი. დრომ და გარემოებამ, შიმშილობამ და აუწერელმა მდგომარეობამ გაანადირა „მიტრა ჯოველიძეები..." მათზე ნადირობა უნდა გასწიოს ახლა თვით სოფელმა და ჩაფარ-მამასახლის-ბოქაულებმა. რატომ? იმიტომ, რომ სოფლის მყუდრო ცხოვრებას არყევენ... რა კარგია ასეთი მობოდიშება! მყუდრო ცხოვრებას არყევენ! გვავიწყდება, რომ ეს „მყუდრო ცხოვრება" აღარ არის მყუდრო, გვავიწყდება, რომ პატრიარქალური სიდინჯე ჩვენი სოფლისა დრტვინვამ მოიცვა, როგორც ჟამობის დროს. უკაცო სოფელი, ბედის ანაბარად მიგდებული, დაუთესველი მინდვრები მზარავ შიმშილობის აჩრდილის წინ სდგას. იქნებ სხვა დროს და სხვა პირობებში პროვინცია ჩვენი არ ყოფილიყო ასე შეძრწუნებული, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ჩვენი სოფელი ისევ ძველს ტრადიციების არტახებშია შეკრული, ისევ ძველს ჩვეულებათა და წესრიგის ფარგალში ტრიალებს, ძველის ძველი მამაპაპეული გუთნით, რის გაწევას რვაუღელი ხარი უნდა, რომ შავი ყამირი გადააბრუნო?! დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ ჩვენი ქალები ტრადიციულად კერასთან არიან შეჩვეულნი და ასე ადვილად ვერ გაიყვანთ მინდვრად და მაშინ მიხვდებით, თუ რატომ დრტვინავს ჩვენი სოფელი, რატომ შემდგარა სასოწარკვეთილების წერტილზე, ან რატომ 30% დარჩა მოუხნელი, რაიც სხვა ადგილებში 40% და 50% ანუ 60—70%-ით გაიზარდა! აბა მოვახდინოთ სტატისტიკური ცნობები ქართლისა, კახეთისა და მაშინ ვნახოთ, რაც გაკეთებულა და ამ გაკეთებულიდან რის იმედი უნდა ვიქონიოთ. სოფელი გატიალდა. სოფლის მარჩენელი გაჰქრა. ახლა თუ გამართლდა ის ხმები, რაც ყრუდ გაისმის აქეთ-იქით, რომ სოფლებში საქონლის რეკვიზიციის მოხდენა სურთო, მაშინ პროცესი შიმშილობისა დაჩქარდება და მალე, ძალიან მალე მოწმენი გავხდებით მრავალ საშინელ მოვლენათა, რომელთა წინაშე თვით მიტრა ჯოველიძეთა საქციელიც მოსანატრებლად ჩავითვალოთ! არა, საშინელია ჩვენი სოფლების მდგომარეობა, საშინელი და გულის ყრუ დრტვინვა გაისმის მის დაკოდილ სიღრმიდან, მაგრამ ხმა იგი ქალაქის ხმაურობას და ყრუ ღრიანცელს ჩაუნთქია. ჩვენ მხოლოდ იმაზე ვშფოთდებით, თუ ყასბები რატომ გვართმევენ თითქმის გადასაგდებ ხორცში 6—7 შაურს, გვაწუხებს ის გარემოება, რომ ერბო და კვერცხი თუ სხვა რამ სანოვაგე საშოვნელი არ არის. ვჩხუბობთ, ვვალალებთ, პოლიციის კარებს ვამტვრევთ და არ გვინდა ერთხელ ვიკითხოთ, რად ხდება ასე, ან სათავე ამ მოვლენისა სად უნდა ვეძიოთ? ნალი სიძვირისა სოფლის გაჭირვებიდან არის დასმული! მაგრამ ყველა ეს მხოლოდ ნაადრევი ყვავილებია იმისი, რაც მოხდება ან რის მოლოდინიც უნდა გვქონდეს: შავი ჟამობა... მეფე შიმშილის საზარელი მძვინვარება!..

**ქართლელი.**

# ეროვნული ეროსი

დასასრული, იხ. „საქრ." № 65.

ამავე წერილში ვხვდებით შემდეგ მარგალიტებს: „კულტურულ-პოლიტიკურ ერთეულს, რისგანაც სდგება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინდივიდუალობა თვითეული მხარისა, უნდა ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო ნებისყოფამ არა თუ როგორც ძალას, არამედ როგორც ისტორიულად დაგროვილს სიმდიდრეს. სიმდიდრე იგი დაცულ უნდა იქმნეს, რათა მომავალს უმაღლეს კულტურას საფუძვლად დავუდვათ იგიო".

იდეა ეროვნული გატაცებისა განსაკუთრებით მოსჩანს ივ. კუბიკოვის წერილში, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ამბობენ, მუშებს სამშობლო არა აქვსო. ეს სიტყვებივე გაიმეორეს აწ უკვე ისტორიულ კრებებზე ამომრჩეველმა მუშებმა, რომელნიც შევიდნენ პეტროგრადის სამხედრო-მრეწველობის კომიტეტის წევრად. მაგრამ ეს მხოლოდ გაზეპირებული ფრაზაა და მეტი არაფერი. აბა როდისმე ეს მუშები გახდნენ ემიგრანტებად და მაშინ გაიგებენ, რომ სამშობლოსადმი სიყვარული უბრალო სიტყვა არ არის, რომ ცხოვრების ახალ ფორმების შესაქმნელად თუ გსურს მონაწილეობა მიიღოთ, უწინარეს ყოვლისა ეს უნდა მოხდეს საკუთარ სამშობლოს ფარგლებში. მაშინ, მხოლოდ მაშინ მივხვდებით დიდ მგოსნის სიტყვებს, რომ „ძონძებში და თვით ცრემლებში სამშობლოზე საყვარელი არა არის რა!"

ვლადიმერ ვოლსკი ომის შესახებ ასე ჰფიქრობს: „არა, ჩვენ ვერ მივაღწევთ ინტერნაციონალს, თუ თვით ერი არ განვითარდა, ვერ მივაღწევთ დიდებულს საკაცობრიო სამშობლოს, თუ კერძო და ისტორიული სამშობლონი გზად და ხიდად არ გავიხადეთ. ენისა და კულტურის ერთობა, უფლებისა და ზნე-ჩვეულებათა გაერთიანება, ისტორიულ წარსულისა და ისტორიულ სვე-ბედის ერთს დონეზე დაყენება უნდა მოხდეს თვითეულ მხარის განვითარებულ ... ამას იქით სხვა გზა არ არსებობს..."

ასე და ამგვარად ფიქრობენ გუშინდელი პროტესტანტები, ასე და ამგვარად მსჯელობენ, აფორიზმს და თამამ თეორიებს აფრქვევენ ხსენებულ კრებულის ფურცლებზე, რომელთა რიცხვი მკითხველის თავის მოსაბეზრებლად არ გავამრავლეთ.

რად მოხდა ასე? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ ყოველ ძალათა შორის უძლიერესია ეროვნულ ეროსის ანდამატი! კარგი და წარმტაცი იყო სოციალისტური ილლუზიები, მაგრამ საკმარისი იყო ევროპის ცენტრიდან ზარბაზანს დაეგრიალნა, რომ ტრადიციულ სოციალისტურ მსოფლმხედველობის ოცნების კოშკიც წამოქცეულიყო. წერაქვი თვითვე მუშებმა დასცხეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეზიარნონ გათიშულ და უარყოფილ სამშობლოს სიყვარულს, მჭიდროდ შედუღდნენ იდეურად ეროვნულს კულტურასთან, სამშობლოს გულთან. თუ რომ ბურჟუაზიისთვის სოციალისტთა დღევანდელი ძახილი „კლასთა ორგანიზაციები მოეწყოს თვითეულ ერის საზღვრებშიო", არავითარს ახალს მცნებას არ წარმოადგენს, იგივე ძახილი პირადათ სოციალისტთათვის, დიახაც, რომ რევოლიუციური დევიზია, სალი ალღოთი აღმოხეთქილი ნაკადული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზმის განსამტკიცებლად. „ორგანიზაციები ეროვნულს საზღვრებში", დიახაც, რომ უნდა მოხდეს ერის სახელით, მის ისტორიულ მისწრაფებათა განსახორციელებლად. დამარცხდა სოციალისტური მოძღვრება. ლევიაფანის ძლიერებით კვალად სამშობლო იმოსება. აი ამიტომაა, რომ მთელი მოძღვრება სოციალისტებისა იმ მომხიბვლელ ზღაპრების უბრალო წინასიტყვაობად დარჩა, რომელიც ეროვნულ ეროსის ქანდაკის გვერდით მოვისმინეთ გულუბრყვილოთაგან.

სასუფეველი კეთილ მთხრობელთ!..

**დ. კასრაძე.**

# მოხსენება

ქართულ მწერლობის აღნუსხვის შესახებ.

(დასასრული იხ. „საქართ." № 60)

რუსეთის რევოლიუციის ქარტეხილმა და მის შემდგომ რეაქციით მოცულმა მწყვდიადმა—ქართველი ხალხის ფსიხიკასა და ჩვენ საზოგადოების აზროვნებასაც დააჭდია თავისი ულმობელი კვალი.

დიდ იმედების გაცრუებისა შემდგომ ჩვენშიაც დარწმუნდნენ, რომ—უკეთესს მომავლის შესაქმნელად—აბობოქრებულ და გარდამავალი გარეშე სტიქიურ ძალის გარდა, საჭიროა საკუთარ არსებაში საზოგადოებრივ ძალთა თან-და-თანი განვითარება და განმტკიცება.

ამ დროთა ცხოვრების გამოცდილებამ, თითქოს შეკუმშა ჩვენი საზოგადოება და მთელი მისი ყურადღება მიაპყრობინა საკუთარ არსების შინაგან ცხოვრების გადასაჩხრეკათ.

ჩვენშიაც დარწმუნდნენ, რომ ეროვნულ იდეალისა და სამოქმედო პროგრამის შესაქმნელად საკმარისი არაა უცხო ნიადაგიდან გადმონერგულ მსოფლ-მხედველებათა მხოლოდ გონებითი გაზიარება და ამა თუ იმ პოლიტიკურ მიმართულებათა პროგრამების ზერელე შეთვისება.

სხვათა შორის ამითი უნდა აიხსნებოდეს, ჩვენის აზრით, ის უალრესი უილაჯობა, რომელიც ასე ხაზგასმით ემჩნეოდა, დღევანდლამდე მაინც, განსაკუთრებით ჩვენში არსებულ საზოგადოებრივ ჯგუფთა და მიმართულებათა თვით-გრძნობიერებას.

ამითი აიხსნება აგრეთვე ინსტიქტიური ლტოლვა შეთანხმებისაკენ, რომელსაც, თუმცა ჯერ კიდევ გაუბედავათ, გრძნობენ დღეს ჩვენში არსებული მიმართულებანი და, რომლისაგანაც „ქართლის ბედის" უკულმართობა გამოელის ახლა საკუთარ სიმახინჯის დათრგუნვასა.

ყოველივე მიუდგომელი და არა ზერელედ მოაზროვნე ადამიანი სწორედ ამითი ახსნის, ჩვენის აზრით, აგრეთვე იმ საერთო რყევასაც, რომელსაც, მთელ ქართველ ხალხთანა და ჩვენს საზოგადოებასთან ერთად, განიცდიან დღეს ჩვენში არსებული სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები.

დღევანდელ ჩვენს ქართველ ინტელიგენციის მოვალეობაა—დააღწიოს თავი ამ გასაჭირს...

ამისათვის—უპირველეს ყოვლისა მან უნდა შეიცვალოს, ივრედ წოდებული, მეთოდი აზროვნებისა.

მშობლიურ ნიადაგის კონკრეტიულ პირობებთან და ჩვენი ცხოვრების გამგებლობისგან დაშორებულ ქართველ ინტელიგენციის თვითცნობიერებას,

დღევანდლამდე უმთავრესად განყენებულ აზროვნების ელფერი ედვა. ჩვენი ცხოვრების ვითარებასა და ამა თუ იმ საზოგადოებრივ საკითხსა და მხარეს იგი უმთავრესად მის მიერ ზერელედ შეთვისებულის განყენებულ იდეოლოგიის პრინციპებითა ხსნიდა. ამის გამო მის აზროვნებას აქამომდე, დედუქტიური, წმინდა სოციოლოგიური, ანუ ნომოტეტიური ხასიათი ჰქონდა.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრების კვლევა-ძიებასა და გაშუქებას ესაჭიროება დიამეტრიულად მოწინააღმდეგე მეთოდი. სახელდობრ—ინდუქტიური, წმინდა ისტორიული, ანუ იდიოგრაფიული მეთოდი.

ქართველმა ინტელიგენციამ მთელი თავისი გონების სიმახვილე დღეს უნდა მიაპყროს ჩვენი ერის ვითარებისა და მის განსაკუთრებულ პირობების შესწავლას. მხოლოდ ამის შემდგომ შესძლებს იგი ნამდვილსა და მკვიდრ საკუთარ მსოფლმხედველობის შემუშავებას, რაიცა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქართველ ერის იდეალისა და ჩვენს სამოქმედო პროგრამის გამოსარკვევად.

მაგრამ იბადება საკითხი: საიდან უნდა ამოჰკრიბოს მან ამისათვის საჭირო მასალები? არსებობს თუ არა ჩვენში ამგვარი მასალები და თუ არსებობს, რა გვარი ხასიათისაა იგინი?

საჭიროა აღინიშნოს აქ ჩვენი ერის ერთი განსაკუთრებული მდგომარეობაც: ამ მხრივ, პოლიტიკურად უფლება აღჭურვილ ერთა მოთხოვნილებას, მათი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი ასრულებენ. ამ საჭიროებას უძღვებიან მათში არსებული უმაღლესი სასწავლებლები და ათასგვარი მეცნიერული და არა მეცნიერული დაწესებულებანი, რომელნიც აქვეყნებენ ამგვარს მასალებსა და შრომებს თავიანთ ურიცხვ გამოცემებით.

ჩვენი ცხოვრების ღუხჭირმა პირობებმა ვერ წარმოშობა დღევანდლამდე ჩვენში—ქართული უმაღლესი სასწავლებელი, ანუ ქართული აკადემია.

ჩვენში არ არსებობს აგრეთვე არც ერთი მეცნიერული და არა მეცნიერული დაწესებულება, რომელიც განსაკუთრებით ჩვენი ერის ამ მოთხოვნილებას უნდა უძღვებოდეს.

ჩვენში—დღევანდლამდე ვერ მოიკიდა ფეხი აგრეთვე ქართულ წიგნების გამომცემლობამ. ამიტომ, თუ კი რომ დაწერილია ჩვენში, მოთავსებულია განსაკუთრებით, ჩვენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზედ. მაგრამ არსებობს კიდევ სხვა გზა ამ გვარ მასალების შესაკრებად. ათასგვარი მასალებია გაბნეული სახაზინო, სხვა და სხვა საზოგადოებრივ, სასოფლო, საქალაქო და სხვა და სხვა დაწესებულებათა გამოცემებში.

ყველა ამ მასალათა გადაშინჯვის და აქედან საჭირო ცნობების ამოკრეფის საქმე—აღემატება ყოველ ადამიანის ძალასა და ღონეს.

ამისათვის საჭიროა ერთგვარ განსაკუთრებულ წრის დაარსება, რომელიც ქართულ პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის შედგენასთან ერთად, გაუძღვება ამ მეტად საჭირო საქმის მოწესრიგებასაც.

ამ წრეში უნდა მოეყაროს თავი ქართველთა ახალგაზრდობას.

მისი ხელმძღვანელობა კი უნდა იკისროს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" გამგეობასთან ერთად, ქართულ პრესის წარმომადგენელთა კავშირმაც.

ასეთი წრე, ამგვარ მასალების დამზადებით, დიდ სარგებლობას მოუტანს დღევანდელ ქართველ ინტელიგენციის და საერთოდ ქართველ ხალხის თვითცნობიერების შესწავლასა და გამოკვლევას.

ამგვარი წრის დაარსება ჩვენს ახალგაზრდობასაც მისცემს საჭირო გაწვრთნას. იგი მას დაახლოებს ჩვენი ცხოვრების სინამდვილესთან და ქართველთა ერის ჭირ-ვარამთან.

**გიორგი მამრაძე.**

## ქალაქის საბჭო

**21 მარტის სხდომა.**

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვმა** კრებას აუწყა „პორტიუგალ"-ის დაღუპვა შავ ზღვაში. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა დაღუპულთა ხსოვნას.

**შეკითხვები.**

**ხმ. ევანგულოვი.** გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილი იყო, რომ ქალაქთა კავშირის კომიტეტის მდივნის სტ. დანდუროვის წინადადებით კომიტეტმა მუქთი ბილეთი მისცა მელიქ-მუშკამბარიანს მოსკოვში წასასვლელად და ამასთანავე მოწმობაც—საქონლის წამოსაღებად. მუშკამბარიანმა ამ მოწმობით თავისი საკუთარი საქონელი წამოიღო, რკინის გზის ჟანდარმმა ეს გაიგო ოქმი შეუდგინაო. რამდენად მართალია ეს ამბავი?

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** ეს ამბავი დაბეჭდილი იყო 2 გაზეთში. მე ვგრძნობ, რომ ამის შესახებ შემეკითხებოდით და ამიტომ საჭირო ქაღალდები თან წამოვიღე. 13 იანვარს დეპეშა მივიღე მოსკოვიდან ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარისაგან, რომელიც მთხოვდა, რომ რადგან ფოსტით გამოგზავნილი წერილები იგვიანებს, საჩქარო საბუთის ქაღალდები სავანგებო კაცის ხელით გამეგზავნა მთავარ კომიტეტისათვის. იმ დროს გასაგზავნი მქონდა მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვა, რომლის დაყოვნება არ შეიძლებოდა. ამიტომ კომიტეტის მდივანს ს. დანდუროვს ვთხოვე, თუ ვინმე სანდო კაცს ნახავდა, მოსკოვში მიმავალს, ეცნობებინა ჩემთვის, რათა იმისათვის გამეტანებინა ხარჯთ აღრიცხვა. შემდეგ ჩემთან შემოვიდა კომიტეტის მოსამსახურე ტერ-ოგანეზიანი და მითხრა, მოსკოვში მიდის მელიქ-მუშკამბარიანი და ის წაუღებს წერილებს მთავარ კომიტეტსო. მეც ნება დავრთე, რომ ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა რამდენიმე წერილი გაეტანებიათ მისთვის. მუშკამბარიანმა ქაღალდები დანიშნულებისამებრ ჩააბარა მთავარ კომიტეტს და ამ სამსახურისათვის მან მიიღო მუქთი სამოგზაურო ბილეთი რკინის გზით. ასეთი შემთხვევა პირველი არ არის ქალაქთა კავშირში: მოსკოვიდან, მაგალითად, ჩვენ რამდენჯერმე მიგვიღია მთავარ კომიტეტის წერილები და სხვა ნივთები უცნობი კაცების ხელით. რაც შეეხება მოწმობას შესახებ იმისა, რომ მუშკამბარიანს ნება ჰქონოდა საქონლის წამოღებისა, ასეთი მოწმობა იმისთვის ჩვენ არ მიგვიცია და არც ვიცით, სად და როგორ მოახერხა მან ამგვარ მოწმობის მიღება. როცა ხმები გავრცელდა აღნიშნულ შემთხვევის შესახებ, დეპეშით შევეკითხე კავშირის მთავარ კომიტეტს, რომ იქ ხომ არ მიუცია მუშკამბარიანისათვის მოწმობა კომიტეტს. ჯერ დეპეშის პასუხი არ მიმიღია და როცა მივიღებ, დაუყოვნებლივ მოვახსენებ საბჭოს. ეხლა კი გადაჭრით ვაცხადებ, რომ მუშკამბარიანის უკანონო საქციელში ჩვენ არავითარი წილი არ გვიდევს. მე ვსთხოვ გამომძიებელს, მუშკამბარიანს მაგრად მოჰკიდოს ხელი და არავითარი შეღავათი არ მისცეს.

კრების გათავების დროს ხატისოვმა უკვე მიიღო დეპეშის პასუხი მოსკოვიდან ბ-ნ კიშკინისაგან, რომელიც ატყობინებს, საქონლის წასაღები მოწმობა კომიტეტმა მისცა მუშკამბარიანს, რადგან იგი კავშირის მოსამსახურე ეგონაო.

**ხმ. ვაჩნაძე.** წინად 5 ვედრა წყალი იყიდებოდა 1 კაპეიკად. ეხლა მე შემომჩივლეს, 3 ვედრაში იღებენ კაპეიკსო. საბჭოს ასეთი ცვლილება არასოდეს არ მოუხდენია და გამგეობაც თავის მხრივ ფასს არ მოუმატებდა. ცხადია, წყალს მეტ ფასად რომელიმე მოსამსახურე ჰყიდის. ეს გარემოება იცის, თუ არა გამგეობამ და რა ღონისძიებას ხმარობს ასეთ თვითნებობის წინააღმდეგ?

გამგეობის წევრი **ა. მ. არღუთინსკი.** საჭიროა ვიცოდეთ, რომელ ადგილას გადაახდევინეს მომეტებული ფასი წყალში. ვფიქრობთ, რომ საჩივარი უნდა შეეხებოდეს სახლში მიტანილ წყალს და არა თითონ ონკანთან გაძვირებას.

**ქალაქთა კავშირის კრება.**

**ა. ი. ხატისოვმა** კრებას მოახსენა ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა კრების ამბავი მოსკოვში, რომელ კრებასაც თითონ დაესწრო.

## მაჰმადიანთა ცხოვრებიდან

„აჩიკ-სოზში" აწერილია ბაქოში მაჰმადიან ქალთა მიერ გამართული რაუტი. მოგვყავს აღწერილობა.

„მიმდინარე ამა თვის 11-ს დღისით ალა მურთეზა მუხთაროვის სახლში მაჰმადიან ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გამართულ იქმნა რაუტი. ქალთა საზოგადოებამ საათის 11-ზე იწყო მოსვლა. 300-დე მანდილოსანმა თავი მოიყარა. შემდეგ ბ-ნი ყადი მირი ქერიმ-აღის მეუღლემ კრება გახსნა. დაიწყო არაბულ ენაზე ლოცვა. სიტყვა წარმოსთქვა შეფიკეხანუმმა:

„ქალ-ბატონებო! დღევანდელი დღე ჩვენთვის ისტორიაში აღსანუსხავი დღეა. ნავრუზის დღესასწაულისა გამო მაჰმადიან ქალთათვის რა კი რაუტიც გაიმართა, დღესასწაულთან ერთად განსაკუთრებით ამ ახალს მოვლენასაც მოგილოცავთ.

„მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ასეთი ტენდენციური, აღფრთოვანებული მეჯლისების, რაუტების გამართვა მამაკაცებშია მიღებული. ჩვენს ქალებს ეკრძალებოდათ ის, რაც უცხო ქვეყნებში დედაკაცებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. სამწუხაროდ, ჩვენს ასეთ სოციალურს ცხოვრებასთან ერთად, ჩვენ მაჰმადიან ქალებს ეროვნული ერთი დაწესებულება არა გვქონია. ყველა ეს გაითვალისწინეს ჩვენმა განათლებულმა ქალებმა, მაჰმადიან ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება განიზრახეს და დაარსეს კიდეც. ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი მიზანი მაჰმადიან ქალთა შორის სწავლა-განათლების გავრცელება და მათში ხელსაქმიანობის აღდგენა გახლავთ. სამწუხაროდ, საზოგადოებამ ვერ მოასწრო ფრთის გაშლა, რადგანაც სწორედ ამდროს მსოფლიო ომის გრიგალი ამოვარდა საზოგადოება იგი იძულებული გახდა შეეჩერებინა თავისი მოღვაწეობა და ახლა მთელი თვისი ენერგია და ყურადღება მიექცია ომისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად, რასაც პირნათლად ასრულებს კიდეც.

ღვთის ნებით, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი საზოგადოებანი როგორც ასეთ დღეს, ისე ყოველთვის წინამძღვრად ეყოლებიან ჩვენს ხალხს. ძალად არავის არას ვართმევთ, ყველას ნებაზე შეუძლია თავის წვლილის გამოღებით ვალი მოიხადოს სამშობლოს წინაშე. ხომ ვხედავთ, ჩვენი მეზობლები როგორ მუშაობენ. ზოგი ქონებით, ზოგი ფულით და ზოგიც რით ემსახურება თავის მშობელსქვეყანას, ერს... მოვიხადოთ მაშ ჩვენი ვალი"...

ამის შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარე ლიზა-ხანუმ. მუხთაროვის პირით დ.მსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა შეფიკე ხანუმმა: შემდეგ ფულის მოგროვება დაიწყეს. სულ მოიკრიბა 1500 მანეთამდე.

ბოლოს წერილის ავტორი მადლობას უცხადებს დღესასწაულის გამმართველთ და იმედოვნებს, ჩვენს ცხოვრებაში ეს პირველი და უკანასკნელი არ იქნებაო.

## წერილი აჭარიდან

(დასასრული. იხ. „საქართ." № 65)

მერე ვინ ანუგეშა აჭარელი ქალები? არავინ. ვინ გამოკითხა მათ განვლილი უბედურების ამბავ-„ხეშერი"? არავინ. ვინ შეეცადა პირველი წყაროდან, ესე იგი, თვით ქალებისაგან მოესმინა ყველაფერი ჩაეწერა მათი მოთქმა-გოდება და დღეს თუ არ გამომჟღავნდებოდა, ისტორიულ მასალად მაინც შეენახა? არავინ.

ამ მხრივ კაცებსაც დიდი არაფერი გაგვიკეთებია (რადგან ჩვენ მიერ გაგზავნილ ამბვის შემკრებს შარა-გზიდანაც არ გადაუხვევია), დაწვრილებით არ გამოგვიკითხავს, ყველაფერი მასალა არ შეგვიგროვებია. თუ კი ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია, მით უმეტეს სულ არაფერი გაუკეთებიათ ქალებს. არ კმარა მხოლოდ საბნებისა და საცვლების შეკერვა, არა კმარა დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის შეგროვება. ყველა ასეთი ზომა დროებითია, პალიატივია, სამარადისო მალამოთ არ კმარა, საჭიროა ისეთი ზომის მიღება, რომელიც ჩვენსა და ჩვენს მოძმე მუსლიმანთა სიყვარულის დუღაბათ გამოდგება და საუკუნო ჯაჭვით გადაგვაბამს. ქართველო ქალებო! გულის სიღრმიდან ამომხდარი სიტყვით მოგმართავთ: იკისრეთ ამ დუღაბის შეზადება, იკისრეთ ჩვენ შორის საუკუნო ჯაჭვის გაბმა. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ იკისრებთ ოცნება საქმეთ აქციოთ: „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში". „ბედითი ბნედა სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია, სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია"-ო, ამბობს სულმნათი შოთა. „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო", დასძენს იგივე შოთა. თქვენც, ქართველო ქალებო, თუ გსურთ ლხინი მოიმკოთ, უნდა გაუძლოთ ჭირსაც, დასთესეთ სიკეთე და სიკეთესვე მოიმკით. ეს სიკეთე კი თქვენი ხელითვე უნდა დათესოთ, ნარ-ეკლიანი გზა თქვენვე უნდა გაკაფოთ, არ კმარა „შორით ალვა, შორით დაგვა", წადით აჭარაში, დაენახვეთ თქვენ დებს, გაეცანით, გადაუხსენით გული, დაუამეთ წყლული, პირადათ მოისმინეთ მათ თავზე გადამხდარი უბედურების ამბავი, პირადად გაიგეთ რა უჭირთ და რა ულხინთ. თბილისში ჩამოსულ სტუმარ მამაკაცების ხელის ჩამორთმევას, მათვის ძმურ-დური სიტყვის თქმას სჯობს და უფრო უპრიანია აქვე; აჭარაში მიხედოთ თქვენ დობილებს და მათი დაჩაგრული გული გაამხიარულოთ, კლიტე დადებილი ენა აამეტყველოთ. საქმე, საქმე და მხოლოდ საქმე და არა სიტყვების რახარუხი. საქმე კი ის იქნება თუ მოიყრით თავს რამოდენიმე ქართველი ქალი და თითეული თქვენთაგანი ამ ზაფხულზე 2—3 თვით ესტუმრება 2—3 სოფელს. თითეულმა ქალმა უნდა იაროს ოჯახიდან ოჯახში თან იქონიოს გიტარა, ჩონგური, გრამაფონი, დედაენა, საკითხავი წიგნები, საჭმელის შესაკმაზ-შესანელებელი მასალა, უთო, ლილა და სხვა წვრილმანი. ზინგერის საკერავი მანქანა თითქმის ყველა სოფელში იპოვება. ზოგჯერ სიმღერა გართობა, ზოგჯერ კითხვა, ზოგჯერ ხელსაქმე, ზოგჯერ საჭმელის გაკეთება, მურაბებისა და წნილების ჩადება და სხვა ამგვარი ყველაფერი ეს საქმეა, ყველა ეს დიდათ დაგვაახლოვებს და ხელს შეუწყობს აჭარაში კულტურის გავრცელებას. თქვენ როცა ასე დურ გულს უჩვენებთ თქვენს დაჩაგრულ დობილებს, ისინიც დაგენდობიან და შოთას სიტყვით გეტყვიან: „აწ მოყვარე გიპოვნივარ დისაგანცა უფრო დისი"-ო.

დაჩაგრულია აჭარელი ქალი, უუფლებო ის, შევიწროებულია ის ყოველის მხრით. წარმოიდგინეთ მთავრობამ ვერ გამოიმეტა მათთვის ქართველი ექიმი და ქართველი ბებია ქალიც კი. იყო შემთხვევა, როცა მშობიარე დედასთან თარჯიმნათ მიუყვანიათ ჩაფარი („სტრაჟნიკი") წარმოიდგინეთ რა დაცინვაა ეს. ბევრი სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე ეჩვენოს უცხოს. აკი ამიტომაც აჭარლები გაურბიან მთავრობის ექიმებს. მაგრამ რა გაუმტყუნოთ მთავრობას, როცა ასეთსავე შეცდომას იმეორებს ქალაქთა კავშირიც, იქ ხომ მაინც ცნობილი ქართველების ხელშია მართვა-გამგეობა და ექიმის მოწვევა, მაგრამ ისინიც ხულოში ნიშნავენ უცხო ტომის ექიმს და ბებიას. მერე რა ნაყოფი მოიტანა ამან. ის რომ ხულოში მყოფი ქართველი ფერშალი ბ. გიორგი კაჭახიძე დღე-ღამ ცხენზე ზის, ყველგან ის დაჰყავთ, განუსაზღვრელად ენდობიან და ლამის არის კაცი შრომაში დაილიოს.*) ყველა ასეთი უწესოების შესახებ თქვენც შეგიძლიათ ხმა აიმაღლოთ და მოითხოვოთ, რომ აჭარაში დანიშნონ ისეთები, რომლებსაც ეცოდინებათ ქართული ენა. ნუთუ ამდენი ქართველი ექიმი და ბებია ქალები და ფერშლები გვყავს და არ დათანხმდებიან იმსახურონ აჭარაში, თუ გული გულობს ქართველ ექიმებს შეუძლიათ აჭარაში მყოფთ გადაუცვალონ ადგილი. თქვენ აქაც შეგიძლიათ იმოქმედოთ, შეაგულიანოთ აქ წამომსვლელები და გაბედვინოთ.

ცხადია თქვენ მეტყვით, რომ ყველა ეს კარგია, სიამოვნებით წავალთ აჭარაში, მაგრამ სადა გვაქვს ამის შეძლებაო. უნდა მოგახსენოთ, რომ ამას დიდი ხარჯი არ სჭირია, რადგან აქ (აჭარაში) ჭამა-სმაში არაფერი დაგეხარჯებათ, ბინაც უფასო იქნება, არსად, საქართველოს არც ერთ კუთხეში სტუმრის მიღება და ფარეზი ისე არ იციან, როგორც აქ. მაშასადამე მოგინდებათ მარტო გზის ხარჯი. დალოცვილებო, როცა თქვენ მოგესურვებათ თუ-კი თქვენქმრებსა და მშობლებს თქვენი კაბის შესაფერად ან რაიმე ჟინის დასაკმაყოფილებლად-კი ახერხებთ გამოართვათ, ნუ-თუ ძნელი იქნება 30—50 მანეთის შოვნა და მეტიც არ არის საჭირო. აი ეხლა ამ არდადეგებზე (კანიკულებზე) მასწავლებელ ქალებს მშვენივრად შეუძლიათ ორი თვე გაატარონ აჭარის მშვენიერ სააგარაკო სოფლებში და ისტორიული საქმეც გააკეთონ. თუ ამას მასწავლებელი ქალები იკისრებენ შეიძლება თითეულს 5—6 თუმანი დახმარებაც მიეცეს... ნუ თუ ამის მოგვარებას არ იკისრებს თბილისელ და ქუთათურ ქალთა საზოგადოება. განა თბილისელ ქართველ ქალთა „ძმურ ნუგეშს" არ შეუძლია ამ საქმისთვის გადასდოს 500 მან. ოღონდაც რომ შეუძლია. შეაბით კატას ეჟვანი. „სამკალი ფრიად არს და მომკალს ელის".

**აპ. წ—ძე.**

აჭარა.

*) აჭარა-ქობლეთში ექიმების შესახებ ჩვენ ცალკე წერილი გვექნება. **ა—წ.**

## ნარევი

რომ იტყვიან ხოლმე: ერთი ბედი არავის შერჩებაო, სწორედ ზედ გამოჭრილი გამოდგა ერთს საფრანგეთის განთქმულ მსახიობ ქალზე.

დილით ადრე, პარიზის ერთს ვიწრო ქუჩაზე კალათით ხელში ნახეს ერთი გვამი.

დაგლეჯილ ტანისამოსის ჯიბიდან ამოიღეს პასპორტი და ამით შეიტყეს რომ ეს იყო ერთს დროს განთქმული ფრანგულ თეატრის სახელოვანი მსახიობი ქალი—ვიოლეტა დეკრუა. ორმოცის წლის წინად სხვა და სხვა ალაგას ჰქონდა სამი საკუთარი სასახლე. მრავალი თაყვანის მცემლები ევლებოდნენ გარშემო და მრავალჯერ მამაკაცებს მის გამო სისხლიც დაუღვრიათ.

ასე გასინჯეთ, ორს სხვა და სხვა მეფის მემკვიდრეს უყვარდათ იგი. ერთ ერთი დღევანდელი მეფე მისი თაყვანისმცემელთა სიაში იყო, მაგრამ მცირე წლოვანობის გამო სიყვარულს ვერ ეღირსა.

ვიოლეტა დეკრუა როდესაც სათამაშოდ გამოდიოდა მთელი პარიზი ზანზარებდა. ან თუ სხვაგან სადმე სავასტროლოდ მიდიოდა,—დიდის ზეიმით იღებდნენ.

გაჰქრა ყოველივე მსახიობის ცხოვრებაში, და უპირველესად შემოეფანტნენ თაყვანის მცემელნი.

მიყრუებულ ქუჩაში, ტანისამოს დაფლეთილი მოხუცი, ვიოლიეტა დეკრუა იპოვნეს მკვდარი. თურმე კალათით გამოსულიყო დილით და დღიური სანოვაგე მწვანილი—ეყიდნა.

## წერილი რედ. მიმართ

18 მარტს დ. სურამში ესტატე დიმიტრეს ძე ლომიძეს პატივისმცემლებმა გაუმართეს გამოსათხოვარი ვახშამი, რომელზედაც იმის სახელობით მოიკრიფა ათი მანათი. გთხოვთ გადასცეთ წმინდა ნინოს ლაზარეთს და თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ.

**ვლადიმერ მაჭავარიანი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 | სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 | სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 | სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 | სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 | დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ | 16 „ | „ |


## 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ"-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული" არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული"-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули", Головинскій пр. № 8. შემოსავლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთნა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჰავჰანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

**წიგნის მაღაზია**

## „ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. მეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშონჩნი" **ხიზილალა**, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.